ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი

23.12.2025 წელი
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ირაკლი ცინცაძე, ვერიკო კვირკველია, ვლადიმერ ნანაძე, ტატო ურუშაძე, თენგიზ ხუხუნაიშვილი, გოჩა ჯანაშია და გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებზე და აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა კულტურის და სპორტის სფეროების განვითარება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2026-2029 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია დარჩა უცვლელი და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის განვითარება, დასუფთავება და გარემოს

დაცვა, განათლება, კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

მომხრე-8, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი კომისიებსა და ფრაქციის სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე დაკორექტირდა და პროგრამების დასახელებები განისაზღვრა:

- შშმ პირთა დახმარების პროგრამა,
- მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი ჯილდო,
- მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი დახმარების პროგრამა ,
- რისკის ქვეშ მყოფი 0-დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა,
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია ექსპლოატაციის ღონისძიებები ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულია 450000 ლარით და დაფინანსება განხორციელდება პრიორიტეტული პროექტების შესაბამისად.
- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია თვალის ბადურის სამკურნალო (ავასტინი) დაფინანსება.

-მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოსავლის ნაწილში გაიზარდა 118000 ლარით და განისაზღვრა 22074400 ლარით, შესაბამისად 118400 ლარით გაიზარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაფინანსება და განისაზღვრა 518400 ლარით.

მან ასევე აღნიშნა, რომ ფინანსური რესურსების დეფიციტის გამო სხვა შენიშვნების გათვალისწინება ბიუჯეტის პროექტის ღონისძიებებში ვერ მოხერხდა. წინადადებების განმეორებით განხილვა განხორციელდება 2026 წლის დასაწყისში ბიუჯეტის პარამეტრების ფინანსთა სამინისტროში განხილვის შედეგების გათვალისწინებით.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ წინა კომისიის სხდომაზე მოწვეულები იყვნენ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, რომლებმაც საჭიროებებიდან გამომდინარე დააყენეს წინადადებები დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით. მან დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ იქნა თუ არა კორექტირებულ ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული წინადადებები გათვალისწინებული. **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში შეძლებისდაგვარად მოხდა წინადადებების გათვალისწინება.

ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის მიერ გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რომ მოსახლეობის მიერ მოხდეს დასუფთავების გადასახადის გადახდა. **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა.

გოჩა ჯანაშიამ აღნიშნა, რომ გარე განათების ხარჯი შეადგენს 800000 ლარს, რაც საკმაოდ სოლიდური თანხაა. მისი თქმით კარგი იქნება თუ მოხდება რაიმე ალტერნატიული გზის მოძებნა (მზის ენერგიაზე მომუშავე ნათურების დამონტაჟება), რათა მოხდეს ბიუჯეტში ხარჯის შემცირება.

ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ მან წინა კომისიის სხდომაზე წარმოადგინა ინიციატივა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა მიუსაფარი ცხოველების თავშესაფრის მოწყობაზე, რაც 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტში ვერ იქნა გათვალისწინებული. მან დააყენა წინადადება, რომ მომდევნო წლის იანვრის თვის შემდგომ ისევ მოხდეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა, ვინაიდან საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი და საკმაოდ პრობლემური მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-ერთი 1 (გოჩა ჯანაშია).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №8

ქ. ლანჩხუთი 23.12.2025 წელი

2025 წლის 23 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

23.12.2025 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	
2	ირაკლი ცინცაძე	10 57	
3	გიორგი ჩახვაძე	10 59	
4	სპარტაკ კვაჭაძე	ეს ინფორმაციაა	
5	ტატო ურუშაძე	10:55	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 55	
7	თენგიზ ხუხუნაიშვილი	10:55	
8	ვერიკო კვირკველია	11 00	
9	გოჩა ჯანაშია	10 55	